საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება №1/483

ქ. თელავი „27“ 06 2018 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დეკანის თანამდებობაზე დავით მახაშვილის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, იმავე წესდების 22-ე მუხლის მესამე პუნქტის, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ დებულების 35-ე მუხლის, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის 2018 წლის 26 ივნისის შემაჯამებელი ოქმი №2, უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 26 ივნისის №12 სხდომის ოქმისა და უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დავით მახაშვილის სამსახურებრივი ბარათის (26/06/2018წ. N810215) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე დანიშნულ იქნეს პროფესორი დავით მახაშვილი 2018 წლის 27 ივნისიდან 4 (ოთხი) წლის ვადით;
2. დავით მახაშვილს თანამდებობრივი სარგო განესაზღვროს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით;
3. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას დავით მახაშვილისათვის წინამდებარე ბრძანების სათანადო წესით გაცნობა;

5. დაევალოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერს (ქ.ხმალაძე) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/